პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 სექტემბერი 1973 კვირა

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 206 (15723)

2 სექტემბერი—ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღე

მაღალი ჯილდო, დიდი მოვალეობა

ადამიანების, ხალხების ცხოვრებაში არის მოვლენები, ფაქტები და თარიღები, რომლებიც სამუდამო ადგილს იკავებენ ისტორიის მატიანეში და, როგორც მაცნე და მაუწყებელნი უამთა სვლისა, თაობიდან თაობას გადასცემენ წინაპართა დიად საქმეებს.

სწორედ ასეთი დიდი და ღირსსახსოვარი მოვლენა იყო საქართველოს მშრომელებისათვის 1972 წლის 30 დეკემბერი. ახალი წლის წინადღეს გაზეთებმა აუწყეს საქართველოს მშრომელებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბრძანებულებით სსრ კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში, სოციალისტური ერებისა და ეროვნებათა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებაში საქართველოს სსრ მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

აი როგორი მკაფიო და მაღალი შეფასება აქვს მიცემული ჩვენს რესპუბლიკას, მისი მშრომელი ხალხის გამრჯე მარჯვენას, მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ინტელიგენციის საქმიანობას დიდი ლენინის უკვდავი იდეებისადმი ერთგულებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში გამოჩენილი წარმატებებისათვის. ასეთივე მაღალი შეფასება მიეცა აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, რომლებიც ავრეთვე დაჯილდოებულ იქნენ მთავრობის მაღალი ჯილდოთა — ხალხთა მეგობრობის ორდენით.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ამ დიდმა დაფასებამ და პატივისცემამ უაღრესად აღაფრთოვანა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ენთუზიაზმის ახალი მოზღვავება გამოიწვია, წარმოშვა ახალი პატრიოტული მოსწრაფება და უფრო ძაღლი შემოქმედებითი შრომა გაჩაღდა პარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნების შესახებ.

პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სამეურნეო ორგანიზაციებს კვლავაც მოელით დიდი, დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა, ახალი გზების გამონახვა. შრომის ორგანიზაციისა და კულტურის მკვეთრი ამაღლება, და რაც მთავარია პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, შრომითი დისციპლინის განმტკიცება. ყოველივე ეს დღეისათვის ისე გვჭირდება, როგორც წყალი და ჰაერი.

ხაჭართველოს მშრომელები ახალ ვითარებაში, ახალი წარმატებებით, კეთილი ფიქრებითა და მაღალი გრძნობებით ეგებებიან ხალხთა მართლაც რომ დიადი მეგობრობისა და ძმობის დღეს, როცა მთავრობის ახალი ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი ხაზეიმო პანგები აავსებენ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ქუჩებს, ახალი სახიბარული გრძნობები დაისადგურებენ ჩვენი მშრომელების ოჯახებსა და გულებში.

მთავრობის მაღალი ჯილდო გვავალდებულებს — ამ დიდ დაფასებას, ამ დიდ პატივისცემას და ნდობას ღუპასუხოთ სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე თავდადებული შრომით, ჩვენი დიადი საქმისადმი ერთგულებით. მთელი ჩვენი ენერგია და შემოქმედებითი ძალები უნდა ავამოქმედოთ, ყველა შინაგანი რეზერვი და საშუალებანი უნდა ჩავაყენოთ მწყობრში იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. ხუნლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებანი.

ვიმუშაოთ დღეს გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ. მთელი ჩვენი ცოდნა და უნარი, მთელი ჩვენი შესაძლებლობანი არ დავზოგოთ, რათა საშობლოს მივცეთ მეტი და ხარისხიანი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით, რაც შეიძლება მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები!

ეს იქნება პასუხი იმ დიდ ჯილდოსი, რომელიც საუდამოდ იკიაფებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშაზე. ეს იქნება მეოცე საუკუნეში ჩვენი ხალხის ეპოქიური შრომის მატიანე. რომელიც თაობიდან თაობას გადასცემს სახელოვან წინაპართა დიად საქმეებს კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.



ამხანაგი ვ. კონაკოვი საბჭოეთში გაემგზავრა

1 სექტემბერს მოსკოვიდან საშობლოში გაემგზავრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი, რომელიც სსკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში ისვენებდა. (საკდესი).

ხუთწლედი—ვადამდე!

გამოჩენილი კომბაინერები

გაზეთ „კომუნისტის“ ვიმპელის მფლობელები

ადიგენი. ოდის კოლმეურნეობის კომბაინერმა ა. ბარბელიშვილმა, რომელიც ეჯიბრება კომბაინერ ს. მარიოლაშვილს, ერთ დღეს პორეიოლის მოსავალი აიღო 13 ჰექტარზე და გალეწა 280 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი მას მეორეჯერ გადაეცა. ადიგენის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა ვ. კლდიაშვილმა 7 დღეში მოსავალი აიღო 50 ჰექტარზე და გალეწა 750 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი ზედიზედ მესამედ მოიპოვა და მუდმივად მას დარჩა.

ახალციხე. „სოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების კომბაინერმა ვ. დევნოსაძემ, რომელიც ეჯიბრება კომბაინერ ა. ზაკაძეს, სოფელ ძველის კოლმეურნეობაში ერთ დღეს პორეიოლი მოჭრა 15 ჰექტარზე და გალეწა 152 ცენტნერი მარცვალეული. მან „კომუნისტის“ ვიმპელი ზედიზედ მეორედ მოიპოვა.

მაღაროელები დროს უსწრებენ

ჭიათურა. (ხაკ. კორ.). მოძმე უკრაინელ მაღაროელებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ქართველი მაღაროელები. ისინი დროს უსწრებენ. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა 24 აგვისტოსათვის შეასრულა ხასაქონლო მარგანეცის დამზადების რვა თვის გეგმა და ხელეტმბრის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი კონცენტრატი. თვითღირებულების შემცირებით მარტო შვიდ თვეში დაზოგეს 801 ათასი მანეთი. ჭიათურის მარგანეცი გამორჩა მაღალი ხარისხით და ყველგან მოწონებით ხარგებლობს. რამდენიმე დღეა მარგანეცის ხელტმბრის ანგარიშში იძლევიან ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, კალინინის სახელობის მაღაროთა კოლექტივები.

ზეგეგმითი პროდუქცია

ხარხარუ. (სპკ. კორ.). ახალი ხაწარმოო გამარჯვება მოიპოვა ხაწარის ხაყალიბე ქვაშების მაღაროს კოლექტივმა, რომელმაც 23 აგვისტოსათვის დაამზადა 114.043 ხაყალიბე და კვარცის ქვიშები, რითაც რვა თვის დავალება 112 პროცენტით შესრულა. აქ შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 20 პროცენტით, თვითღირებულება შემციირეს 27 ათასი მანეთით, ხამშობლოს მისცეს 50 ათას მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება.

ახლახან აქ ითვისეს მარმარილოს ბლოკების დამზადება. მაგზე დიდი მოთხოვნილებაა. დამზადებულია 92 კუბმეტრი მარმარილოს ბლოკი. მელანაყოფიერად შრომობენ ამ ცალის კოლექტივები, რომლებსაც ა. ბერიძე, ი. ზაბახიძე და ს. ბაზაკაძე უძღვებიან.

ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივი ახალი შრომითი მიღწევებით ხვდება ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღეს. ქარხანამ გადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის გეგმა, დავალების გადამეტებით გამოშვებულია ათასობით ტონა ნავთობპროდუქტები. ქარხნის № 1 საამქროს № 14 დანადგარი წლის პირველ ნახევარში მიღწეული შედეგებით გამარჯვებული გამოვიდა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის ტექნოლოგიურ დანადგარებს შორის გაშლილ შეჯიბრებაში. მან მესამე ადგილი მოიპოვა. ამ ხუთეულში კი აღებულია არიან ნავთობქიმიკოსები. ზემოთ № 65-1 დანადგარის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან) უფროსი ოპერატორი ს. მიქაძე, ოპერატორები ა. ციალინი, ფ. კორძაია, ვ. მოსხრეფაშვილი, დანადგარის უფროსი ვ. სტერლიაგოვი და ზეინკალი ა. ტკაჩენკო; ძვეზეთ — № 2 საამქროს № 25 და № 29 დანადგარების მოწინავე მუშაკები (მარცხნიდან) უფროსი ოპერატორი შ. დოლიძე, ოპერატორი ვ. თავაძე, ოპერატორის თანაშემწე ი. ბერიძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (ხაქინფორმის ფოტოქრონიკა).

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა-მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ტონ დაკ თხანგს, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ლე ზუანს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ჩოინგ ტინსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ფამ ვან დონგს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ კრებასა და მთავრობას, მოძმე ვიეტნამის ხალხსა და პირველად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს კეთილთანადგომელობა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 28 წლისთავი.

წელს ვიეტნამელი ხალხი, ნათქვამია ტელეგრამაში, თავის ეროვნულ დღესასწაულს ეგებება მშვიდობის პირობებში, რომელიც მან მოიპოვა იმპერიალისტურ აგრესიის წინააღმდეგ ხანგრძლივი, თავდადებული ბრძოლის შედეგად.

ამ ბრძოლის მსვლელობაში ვიეტნამს წელად ხდა განსაცდელი, როგორიც არ იცის არც ერთმა ხალხმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანი არიან ვიეტნამელი ძმების მამაცობითა და შეუდრეკლობით წინააღმდეგობის ომში, სამშობლოს ხსნისათვის ომში. გამარჯვება, რომელიც ემირმა ვიეტნამელმა ხალხმა მოიპოვა სოციალისტური ქვეყნების, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების მხარდაჭერით, მაღალი ფფრაზებად შეიკა ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ პარიზის შეთანხმების ხელმოწერამ დასაბამი მისცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებას ახალ ეტაპს. ამიერიდან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას, რომელიც ასრულებს პრეზიდენტ ხო ში მინის ანდერძს, შეუძლია მთელი თავისი ენერგია, შრომისმოყვარეობა და ნიჭი მოახმაროს ომით მიყენებული ჭრილობების რაც შეიძლება მალე მოშუშებას, სოციალიზმის გზით ქვეყნის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას. ეს დიდმნიშვნელოვანი შემობრუნება ვიეტნამელი ხალხის ცხოვრებაში ხდება სიერთაშორისო ასპარეზზე დიდი პოზიტიური ცვლილებების ვითარებაში, რომლებიც ქმნიან ყველაზე ყოთილნაყოფიერ პირობებს, ვიდრე იოანეს, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობისათვის.

საბჭოთა ადამიანებს მტკიცედ სწამთ, რომ ვიეტნამელი ხალხი გმირი ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანეობით, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან ერთიან მწყობრში დაძლევს მთელ სიძნელეებს, წარმატებით გადაწყვეტს მის წინაშე დასახულ ისტორიულ ამოცანებს.

ჩვენ ულოდნეს ამოყოფილებით აღვნიშნავთ, ნატრამიმა დეპეშაში, სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმხრივ თანამშრომლობას, რომელიც წლითიწლობით ფართოვდება, საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის განმტკიცებას, საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების სოლიდარობა, ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების მისწრაფება ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისაკენ მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების სიფიცხელეზე კიდევ ერთხელ დამაჯერებლად დადასტურდა ახლახან, როცა ვიეტნამის შშრომელთა პარტიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობდნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი, ეწვია საბჭოთა კავშირს. ვიზიტის შედეგებმა „ადიდა ერთხელ კეთილნეს, ხაზგასმულია დეპეშაში, რომ მშვიდობის დიდებაში, ისევე როგორც ომის წლებში, საბჭოთა კავშირ მოდამ მხარში უდგას ვიეტნამელ ხალხს და მისი დახმარება და მხარდაჭერა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიიჩნია.

ლენინის კარტიის პარტიული ბილეთი

გამოფენა ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში

□

როცა ახალი ნიმუშის პარტიულ ბილეთს გადაშლი, წაიკითხავ ლენინის გულშიჩამწვდომ სიტყვებს: პარტია არის ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისი. ეს სიტყვები მოგვაგონებენ კომუნისტის მაღალ მოვალეობას, იმას, რომ პარტიის ყოფნობა ნიშნავს ერთიანად და აღგილად ემსახურებოდე საბჭოთა ხალხს, მთელ ძალ-ღონეს და ცოდნას ახმარდე ბრძოლას მისი ინტერესებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

პარტიული ბილეთის ისტორიას, პარტიის შექმნიდან დღემდე ლენინური პარტიის ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში კომუნისტთა ავანგარდულ როლს ამუქებს გამოფენა, რომელიც 30 აგვისტოს გაიხსნა მოსკოვში, ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში. გამოფენაზე ცენტრალური ადგილი უჭირავს ლენინის დოკუმენტებს, რომლებიც ახასიათებენ მოთხოვნებს კომუნისტებისადმი, აშუქებენ ვლადიმერ ილიას-ძის ბრძოლას პარტიული რიგების სიწმინდისათვის.

სამოცდაათი წლის წინათ რსდმპ II ყრილობაზე წესდების განხილვის დროს ლენინმა თქვა: „ჩვენი ამოცანაა დავიცვათ ჩვენი პარტიის სიმტკიცე, სიმკვიდრე, სიწმინდე. ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ბევრად ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა...“ გამოფენის მასალები აშუქებენ, თუ როგორ ასრულებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ბელადის ამ მითითებებს, როგორ ზრუნავდა თავისი რიგების მებრძოლურობის ამაღლებისათვის, ისტორიული ვითარების შეცვლასთან ერთად, ახალ ამოცანებთან დაკავშირებით როგორ მაღლდებოდა პარტიის როლი, უმჯობესდებოდა მისი ორგანიზაციული მშენებლობა.

ერთბამად რიდი გაჩნდა დოკუმენტი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობას ადასტურებდა. პარტიის წევრად გაფორმების საკითხი, ადასტურებენ გამოფენის მასალები, დაფუძ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, რაც პარტია იატაკქვეშეთიდან გამოვიდა და მისი რიგები სულ უფრო სწრაფად იზრდებოდა. რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1917 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით (ამ ბიუროს ოქმის ჩანაწერი წარმოდგენილია ექსპოზიციაზე) გათვალისწინებული იყო საწევრო მარათის შემოღება, რომლის ნიმუშიც შეიმუშავა ცენტრალური კომიტეტის ბიურომ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში დაცულია ვ. ი. ლენინის პარტიული ბილეთები: № 527 მოსკოვის ორგანიზაციის კრებლის ქვეკრაიონული კომიტეტის მიერ 1920 წელს გაცემული, № 224332 — 1920 წლის ნიმუშის, რომელიც იმავე წელს გამოუწერია რკ(ბ) ქალაქ მოსკოვის ზამოსკვორეცკის რაიონს; 1922 წლის ნიმუშის № 114482 ბილეთი, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძეს მიუღია იმავე წლის 6 მაისს. გამოფენის დამთავალირებელნი დიდი ინტერესით ეცნობიან მთავარ სტენდზე წარმოდგენილ ამ დოკუმენტების პირებს. აქვე წარმოდგენილია № 1 პარტიული ბილეთი, რომელიც ჩვენი პარტიის შემქმნელისა და ბელადის სახელზე შევსებულია 1927 წლის 16 მარტს მოსკოვის პარტიის ზამოსკვორეცკის რაიკომის მიერ. მას შემდეგ პარტიული ბილეთი პირველი ნომრით სამუდამოდ ვ. ი. ლენინის მიეკუთვნა.

ვიტრინებშია მ. ი. კალინინის, ვ. ვ. ფრუნზეს, ს. მ. კიროვის, ვ. ვ. ვეგეშიშვილი, გ. კ. ორჯონიკიძის, ნ. კ. კრუპსკაიას, ე. დ. სტასოვასა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა, კულტურის ცნობილ მუშაკთა, სამშობლოს დაცვის დრის მამაცთა სიკვდილით დაჯილდოებული საბჭოთა არმიის მეომრების პარტიული ბილეთები. დიდი ხანმოკლე ომის ბევრი მონაწილის დოკუმენტები მტრის ტყვეობით არის გადვრტილი. აი გაზეთიდან ამოჭრილი ვ. ი. ლენინის ფოტოსურათი და ბარათი: „მოგკვდებიან, მაგრამ არ დავნებდებით, ასეთია დედასამშობლოს ნება, ჯკვდები კომუნისტად და ვიცი რისთვის“. ბარათი და ფოტოსურათი იპოვეს უმცროსი ლეიტენანტის, 1944 წელს ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში გმირულად დაღუპული ვ. ა. ნეფედოვის ხაკანდიდატო ბარათში.

სტენდების გაცნობისას დამთვალიერებელები იკითხენ, თუ როდის და რასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ჩვენს ქვეყანაში პარტიული დოკუმენტების გამოცემა, როგორ იქმნებოდა და უმჯობესდებოდა ერთიანი პარტიული ბილეთის ხისტემა.

აი საბოლოო სტენდები. ისინი ეძღვნება დღევანდელობას და ასახავენ კომუნისტის როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შექმნაში, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, პარტიული დოკუმენტების მორიგ გამოფენას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს. ყურადღებას იპყრობს 1973 წლის 1 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ვ. ი. ლენინის სახელზე გაფორმებული ახალი ნიმუშის № 1 პარტიული ბილეთი. ფოტოსურათზე ამაღლებული მომენტია: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ხელს აწერს ლენინის ბილეთს. იქვე წარწერილია სიტყვები ცნობიდან „სკკპ ცენტრალურ კომიტეტში“ პარტიული დოკუმენტების გამოცემის დაწყებისა და ბელადის სახელზე № 1 ბილეთის გაფორმების შესახებ: „ვ. ი. ლენინის სახელზე პარტიული ბილეთის გაფორმება მარტო სიმბოლო როდია — ეს მოწმობს ჩვენი პარტიის ურყევ ერთგულებას მისი ანდერძისადმი. ლენინს გონების დიადი ენერგია, ლენინის მშურვალე გულის ძგერა ცოცხალია ცოცხლობენ პარტიისა და ხალხის ხაქმეებითა და მიღწევებით“.

პირველსავე დღეს გამოფენა დათვალიერა ხუთით მოსკოველმა და დედაქალაქის სტუმარმა. (სპუტნიკი).



ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღესასწაული

ნავთობისა და გაზის მრეწველობის მშრომელებმა ხუთწლედის მესამე წლის გეგმის გადამეტებით ქვეყნის სასაღლო მეურნეობას მისცეს 500 ათას ტონაზე მეტი ნავთობი, დიდძალი გაზი. ისინი ასრულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებებს და ვადამდე აკეთებენ მუნობრში მძლავრ მილსადენებსა და ნედლეულის გადასამუშავებელ საწარმოებს. ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღეს, რომელსაც საბჭოთა ხალხი სიქმრის პირველ კვირას აღნიშნავს, მიეძღვნა ხაზეიმო კრება. იგი გაიმართა 31 აგვისტოს მოხკოვის ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში.

მოხსენება გააკეთა ნავთობის მრეწველობის მინისტრმა ვ. დ. შაშინმა.

კრებას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

მწყობრში ჩადგა უდიდესი ბოსტნეულსაცავი

თბილისის საქარხნო რაიონში საექსპლოატაციოდ გადასცეს რესპუბლიკაში უდიდესი ლილოს ხილ-ბოსტნეულის კომბინატ-საცავის პირველი რიგი. იგი გათვალისწინებულია კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის შესანახად. მისი სამი სექციაა 16.400 ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ხოლო კომბინატის მთლიანად საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ 72.000 ტონას დაიტევს.

□

ბოსტნეულსაცავის პროექტი შეიმუშავა საქართველოს გეგმარების საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა. მშენებლობას ხელმძღვანელობდა „მეტალურგმშენის“ ლენინის ორდენოსანი № 1 ტრესტის კოლექტივი, თავი გამოიჩინეს მისმა № 2, 4, 5, 6, 9 სამშენებლო სამმართველოებმა, „სპეცმშენმა“, „თერმოზოლაციამ“ და სხვ. სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეასრულა ავრეთვე „საქმეკანმონტაჟის“ ტრესტმა.

მშენებლებისა და მემონტაჟეებს რ. ბარათაშვილს, რ. მალალაძეს, შ. ალიევს, ი. ხელაძეს, ნ. ვარიტაშვილს, ნ. ეპიტაშვილს, ა. ციოშვილს, ნ. რეხეზოვს, ი. ალიევს, ნ. ბერეშვილს, ა. ენგელაშვილსა და სხვათა გულმოდგინებისა და დიდად ნაყოფიერი შრომის მეოხებით კომბინატი **მწყობრში ჩადგა რეკორდულად მოკლე ვადებში, დავალებაზე თითქმის ერთი წლით ადრე.**

მშენებლებს დიდი დახმარება გაუწიეს რუსთავისა და თბილისის საქარხნო რაიონის კომკავშირელებმა. მათ აქ არაერთხელ მოუწყვიათ შაბათობები, კვირეობები, ბაღხელის ყარადაგების დროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველს სურეულებდნენ სტუდენტთა რაზმები.

კომბინატ-ბოსტნეულსაცავის მშენებლობის დროს გამოიყენეს მსხვილი პანელები, ასაწყობი რკინა-ბეტონი, გრძელზომიანი ლითონისა კონსტრუქციები. სითბური რეჟიმის საუკეთესო უზრუნველყოფისათვის სამშენებლო პროექტიაში პირველად საცავის სახურავში მინერალური ბამბის ნაცვლად გამოიყენეს გაზბეტონი.

ლილოს ხილ-ბოსტნეულის კომბინატ-საცავის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით გაიმართა მიტინგი. მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი ბ. ბერეკაშვილი. ანგარიში მოხსენა საქართველოს ბოსტნეულის ტრესტის მმართველმა ბ. ბერიძე. ბ. ბერეკაშვილმა, ბ. ბერიძემ, ბ. ბაბალაძემ, ბ. ბაბალაძემ, ბ. ბაბალა

ბოლშევიკი
ორგანო საქართველოს კომუნისტური პარტიისა

ტისუერი ალი სოფლად და ქალაქად

ეროვნული წარმატებებით ხედება ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს მრავალათასიანი კოლექტივი. ცისფერმა ალმა მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი რესპუბლიკის ხათბობალანსში. გაზიფიკაციის დაწყებიდან დღემდე რესპუბლიკამ მოიხმარა 20 მილიარდამდე კუბური მეტრი ბუნებრივი და 550 ათას ტონამდე გათხევადებული გაზი, რაც 20 მილიონ 600 ათას ტონა ქვანახშირს, 8 მილიონ ტონა ბაზუთს და 540 ათას ტონა ნავთს უდრის. საწვავის ამ რაოდენობის გადასაზიდად საჭირო იქნებოდა 142 ათასი 60-ტონიანი სარკინიგზო ცისტერნა და 343 ათასი 4-ღერძიანი სარკინიგზო ვაგონი.

მარტო თბილისში გაზის გამოყენების სამუშაოებზე გაზიფიკაციის დაწყებიდან დახარჯულია 31 მილიონი მანეთი. თბილისის მოსახლეობამ 18 მილიონ მანეთამდე ეკონომია მიიღო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ ოჯახს გაზის გამოყენებით 200 მანეთი დაეზოგა.

დღეისათვის რესპუბლიკაში ცისფერი ალის საკითით სარგებლობს 800 ათასამდე ოჯახი, აქედან სოფლად 311 ათასამდე. გაზის ხათბობზე მუშაობს 14.700 კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტი, 905 გამოუბი ხელგაზე. ბუნებრივი გაზის მოსმარებაზე გადაყვანილია მეტალურგიის, ქიმიის, საშენ მასალათა მრეწველობის, მანქანათსაშენებლო, უნივერგიის, კვების, მსუბუქი და სახალხო მეურნეობის 270 სამრეწველო საწარმო.

ბოლო წლებში ბუნებრივმა გაზმა დიდი გამოყენება ჰპოვა სოფლის მეურნეობაში. ბუნებრივი გაზით სარგებლობს რუსთავის მეორეობის, ყორის მსხვილფეხა საქონლის ფერმები, მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკა, ყორის და კრწანისის მეხბოსტნეობის სასათბურე მეურნეობები და სხვ. მომდინარე წლის მათ რიცხვს შეემატება ისეთი მსხვილი კომპლექსები, როგორიც არის მეფრინველეობის ფაბრიკა სოფელ ვამარჯვებაში, მეორეობის ფერმა საგარეჯოში და სასათბურე მეურნეობა საგურამოში.

ათი წლის წინათ ჩამოსაცილებდა მთავარგაზის „სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი. სარეორგო დროში აშენია რუსთავ-თიანეთის მაგისტრალური გაზსადენი თავის „განშტოებებით საგარეჯოში, ბურჯაანში, თელავში, ფაფარაულში, სიღნაღში. ამავე კოლექტივმა გაიყვანა „ბაზსადენები გორში, ცხინვალსა და ხაშურში.

რუსთავის ხარმონტაჟ-სამონტაჟო სამმართველოში ეარგი თაოსნობა გამოიჩინეს — გადაწყვეტეს 1973 წლის ნოემბრისათვის — დადგენილ ვადაზე ერთი წლით ადრე საეჭვოლოგიაგიოდ ბარბაროს სიღნაღ-წინანდლის მაგისტრალური გაზსადენი.

ამ ტრესტის სამმართველოები ამზადებენ ბუნებრივი გაზის მისაღებად ქუთაისს, ჭიათურას, ზესტაფონს, ბორჯომს, წყალტუბოს, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს. ქალაქის ქუჩებში აწყობენ ასობით კილომეტრ გაზგამანაწილებელ ქსელებს. ამონტაჟებენ გაზის მოწყობილობას სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელ ობიექტებზე და ამას აკეთებენ ისე, რომ არ უნდა დაირღვეს ქალაქის ცხოვრების ყოველდღიური რიტმი.

ბუნებრივ გაზთან ერთად რესპუბლიკაში ფართოდ ვიყენებთ თხევად გაზს. რომლის ყოველწლიური ხარჯი 100 ათას ტონაზე მეტია. მარტო მომდინარე წელს გაზის ჩამომსხმელმა სადგურებმა და პუნქტებმა უნდა შეიტანონ 10 მილიონამდე თხევადი გაზის ბალონი. ასეთი მოცულობის სამუშაოს ჩატარება შეუძლებელია, თუ არ გაუხორციელდა ჩამოსხმის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ამიტომ ჩამომსხმელ სადგურებში დაიდგა გაზის ავტომატური ჩამოსხმის კარუსელური აგრეგატები, რომელთა გამოშვება აითვისა ჩვენივე სისტემის უქსპერიმენტალურმა სარემონტო სახელოსნომ. ამ აგრეგატებს იყენებენ მომავალ რესპუბლიკების გაზის მეურნეობებიც.

ამჟამად რესპუბლიკის გაზიფიკაციის საქმეს უძღვება 5 საწარმოო სამმართველო, 13 სამონტაჟო საექსპლოატაციო ტრესტი, 17 სარაიონთაშორისო სამონტაჟო-საექსპლოატაციო კანტორა, სამშენებლო-სარემონტო ტრესტი, თხევადი გაზის საწარმოთა ტრესტი, დამსმარე საწარმოთა თბილისისა და ქუთაისის კომბინატები, ელექტრომინტაჟულ-შემკეთებელი სახელოსნო. მაგისტრალური გაზსადენების მშენებლობის დირექცია, კადრების მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ამაღლებელი უფლებამოქმედი კომბინატი და გაზიფიკაციის სამუშაოთა საპროექტო კანტორა. გაზიფიკაციის საქმეს ემსახურება 8 ათასზე მეტი მუშაკი, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, ძალღონეს არ ზოგავენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების, მაღალი მომთხოვნელობის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საკითხში „ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედი.

სახალხო მეურნეობის აღმავლობის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია სოციალისტური შეჯიბრება. ეს მასობრივი მოძრაობა ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. რეგულარულად ჯამდება შეჯიბრების შედეგებს. მომდინარე წლის გეგმაც და გაზრდილი ვალდებულებებიც გადაჭარბებით შესრულდა მაგალითად, ბინების გაზიფიკაციის საერთო გეგმა შესრულებულია 107,9 პროცენტით, მათ შორის სოფლად — 117,8 პროცენტით. აშენებულია 57,3 კილომეტრი გაზგამანაწილებელი ქსელი, ანუ გეგმა შესრულებულია 106,7 პროცენტით.

სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდია „საქორგაზის“ სამმართველოს, № 1 „რუსთავგაზის“, № 11 „ზესტაფონგაზის“, № 8 „უკედიდგაზის“ ტრესტების, „თბილგაზის“, „აფცაზგაზის“ საწარმოო სამმართველოთა, ქუთაისის გაზგამანაწილებელი სადგურის, რუსთავის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს, სამონტაჟო-საექსპლოატაციო კანტორა „ეახპიგაზის“ და სხვათა კოლექტივები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის ივლისის პლენუმმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი კოლექტივების შრომას. ისინი, დიდი შეფასებით აღფრთოვანებულნი. ძალღონეს არ იშურებენ ხუთწლიანი დადმწყვეტი წლის საგეგმო მონაცემების და ნაკისრი ვალდებულებების გადაზე ადრე შესრულებისათვის.

გ. ბარძიმოვი.

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

ბრძოლისა და გამარჯვების წლები

2 სექტემბერი—ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულია

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დღევანდელი დღესასწაული პირველი მშვიდობიანი დღესასწაულია თითქმის უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში.

28 წლის წინათ, 1945 წლის ორ სექტემბერს ვიეტნამის ხალხმა ფრანგ, იაპონელ და ამერიკელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ხანგრძლივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმატებით დაამთავრა. სწორედ ამ დღეს ქალაქ ჰანოიში ხო ში-მინმა საზეიმოდ გამოაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შობადება.

მაგრამ ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა მშვიდობიანი პერიოდი. სექტემბრის ბოლოს საიგონსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ კვლავ გაჩაღდა ბრძოლა, რაც ცხრა წელიწადს გაგრძელდა. 1954 წლის ივლისში, ქალაქ დიენ-ბიენ-ფუსთან საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის ნაწილების სასტიკად განადგურების შემდეგ, ჟენევაში გაიმართა საერთაშორისო თათბირი, რომლის მონაწილეებმა ცნეს ვიეტნამის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და დემოკრატიულ საწყისებზე ქვეყნის გაერთიანების უფლება.

ვიეტნამში ომის შეწყვეტით უკმაყოფილონი დარჩნენ საზოგადოებრივი აგრესიული წრეები. ისინი შეეცდნენ ქვეყნის შეთანხმებათა მეთოდურ საბოტაჟს, მისი პრინციპებისათვის ძირის გამოთხრას. საიგონში ფაშისტური დიქტატორული რეჟიმი დამყარეს, ე. წ. „ვიეტნამის რესპუბლიკის“ სათავეში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოყვანილი თავიანთი კაცი დაყენეს. მათ ჩაშალეს აგრეთვე ხვიეთთაო არჩევნები, რომელიც საერთაშორისო კომისიის კონტროლით. 1956 წლის ივლისში უნდა გამართულიყო. სამხრეთი ვიეტნამი ახალი ტიპის ოკუპაციად და სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმად გადააქციეს.

სულ სხვაგვარად წავიდა საქმის განვითარება ჩრდილოეთი ვიეტნამში. მისმა მშრომელებმა, ბრძოლებში ნაადი თავიანთი პარტიის — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის მეთაურობით მოკლე დროში არა მარტო აღადგინეს თანგრეული სახალხო მეურნეობა, არამედ მნიშვნელოვნად გადაეჭარბეს მას. ამასთან განსაზღვრელეს დიდი სოციალური ღონისძიებანი.

უკვე 1965 წელს, პირველი ხუთწლედის ბოლოს სახალხო მეურნეობაში გაპატონებული მდგომარეობა სოციალისტურმა სექტორმა დაიკავა. ყოფილი კოლონიური, ჩამორჩენილი ქვეყანა გადაიქცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყნად. შეიქმნა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი ახალი, მათ შორის მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის დარგები. 1954 წლის ჩრდილოეთ ვიეტნამში სულ 41 სამრეწველო საწარმო იყო, 1963 წლის, აგრესორთა მიერ ომის დაწყების წინ კი 1.100-ზე მეტი. გაფართოვდა საგარეო ვაჭრობა. 1965 წლისათვის 50-მდე სახელმწიფოსთან ჰქონდა საგაჭრო ურთიერთობა. ამავე პერიოდისათვის აღებულ იქნა ბრინჯის, ამ მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ორჯერ მეტი მოსავალი, ვიდრე ყველაზე დიდ მოსავლიან წელს კოლონიურ პერიოდში. დიდად განვითარდა ჯანმრთელობის დაცვა და კულტურა. ბოლო მოეღო წერა-კითხვის მასობრივ უცოდინარობას. შემოღებულ იქნა დაწყებითი საყოველთაო განათლება, 45-ჯერ გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ წარმატებებში უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დახმარებამ. რუსეთ-ბლიკის საექსპორტო საქონლის ნახევარზე მეტი და შინაგანი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მზადდება იმ საწარმოებში, რომლებიც აღდგენილ ან აგებულ იქნა საბჭოთა კავშირის დახმარებით.

ამ დახმარებაში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ჩინთველმა ხალხმა. საქართველოდან ვიეტნამში იგზავნება ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის მრავალი ნაწარმი. მათ შორის ჩარხები, ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი დახმარება, რაც ქართველმა სპეციალისტებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს გაუწიეს.

ჯერ კიდევ 1960 წელს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ ქართველი მიწიერები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — აგრონომები, დამამრეკლებლები, ირიგაციორები, მექანიზატორები, ეკონომისტები, ისინი ვიეტნამელ მეგობრებს ეხმარებოდნენ მრავალფეროვანი ტრანსპორტული და სუბტროპიკული კულტურების გაშენებაში, საჭვინიერი სახელმწიფო მეურნეობების შექმნაში, მოწინავე აგროტექნიკური მეთოდების ათვისებაში, ახალი მსხვილი სახელმწიფო მეურნეობების მოწყობაში.

საქართველოში, კერძოდ, თბილისსა და რუსთავის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მრავალი ასეული ვიეტნამელი ახალგაზრდა დაეუფლა ლითონის ციცაგ დამუშავების, მოარგვის, ხარატის, მხეხავის, ელექტრომეტალურგიის პროფესიას. მახარაძის ჩაის ფაბრიკაში 20-მა ვიეტნამელმა შეისწავლა ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადდა ვიეტნამელი ახპირანტები.

ვიეტნამის მშრომელთა მშვიდობიანი წარმატებით წინსვლა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე შეწყდა 1964 წლის 5 აგვისტოს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების აქციები პირველად დაესხა თავს ჩრდილოეთ ვიეტნამს. თვითეულ ამ ორ ქვეყანაში მოეწყობა რეფერენდუმი კონსტიტუციისა და პრეზიდენტის კანდიდატურის თაობაზე. რეფერენდუმის მოწყობის თარიღი განსაზღვრული არ არის.

ეგვიპტესა და ლიბიის შორის ურთიერთგაგრძელებულ მოლაპარაკებებს 1 სექტემბრიდან შემოღებულია ფულის ახალი ერთეული — ორბული ლინარი.

აქ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ წინათ 1 სექტემბრისათვის ეთავლისწინებული რეფერენდუმი ეგვიპტისა და ლიბიის გაერთიანების საკითხზე არ მოეწყობა.

გმოგენ ტერორის პოლიტიკას

ბანგი, 31 აგვისტო. (საკდისი). ორმხრივი გაერთიანებული სამხედრო კომისიის სხდომაზე, რომელიც 1973 წლის 28 აგვისტოს გაიმართა, სამხრეთ-ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სამხედრო დელეგაციამ მკაცრად დაგმო საიგონის ადმინისტრაციი ეგრეთ წოდებული „დაშოშმინების“ პოლიტიკის განუხორციელებისათვის, იმ რაოდენობაში, რომლებსაც იგი უშვებს კონტროლს.

საიგონის მხარემ, ნათქვამია ბანგიხდებაში, ჯაალიერი მშვიდობიანი მოსახლეობის რეპრესიები და დევნა. ახორციელებს რა „დაშოშმინების“ ოპერაციას, იგი აწყობს ჩხრეკა-დაპატიმრებას და ხოცავს ოდინაშაულო ადამიანებს.

საიგონის ტერორის პოლიტიკა, ხაზგასმულია განცხადებაში, ეწინააღმდეგება სამხრეთ ვიეტნამის ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და მისწრაფებებს და სერიოზულად აფრთხილებს პარიზის შეთანხმების.

შეიქმნა არაბთა გაერთიანებული სახელმწიფო

კაირო, 30 აგვისტო. (საკდისი). აქ ოფიციალურად გამოცხადდებულია, რომ შეიქმნა არაბთა გაერთიანებული სახელმწიფო ეგვიპტისა და ლიბიის შემადგენლობით. ეს გადაწყვეტილება მიღწეულია ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტ ა. სადათისა და კაირეში მოულოდნელად ჩამოსული ლიბიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მ. კადაფის მოლაპარაკების შედეგად.

ეგვიპტე-ლიბიის გაერთიანებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის დეკრეტში, რომელიც მენის საგენტომ ვაავრცელა, აღნიშნულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება ასახავს „მისწრაფებას ერთიანობისადმი“. ხელმძღვანელობა, რომელშიც შედიან ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი და ლიბიის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე, კისრულობს პასუხისმგებლობას ახალი სახელმწიფოს შექმნისათვის და კვლავ შეასრულებს თავის მოვალეობას ამ ამოცანის გადაწყვეტამდე.

დეკრეტის შესაბამისად, 1 სექტემბრის უნდა შეიქმნას კონსტიტუციური ასამბლეა, რომელიც შედგება ეგვიპტის 50 წარმომადგენლისა და ლიბიის 50 წარმომადგენლისაგან. ასამბლეა შეიმუშავებს კონსტიტუციას და დაასახელებს გაერთიანებული სახელმწიფოს პრეზიდენტის კანდიდატურას, თვითეულ ამ ორ ქვეყანაში მოეწყობა რეფერენდუმი კონსტიტუციისა და პრეზიდენტის კანდიდატურის თაობაზე. რეფერენდუმის მოწყობის თარიღი განსაზღვრული არ არის.

ეგვიპტესა და ლიბიის შორის ურთიერთგაგრძელებულ მოლაპარაკებებზე 1 სექტემბრიდან შემოღებულია ფულის ახალი ერთეული — ორბული ლინარი.

აქ გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ წინათ 1 სექტემბრისათვის ეთავლისწინებული რეფერენდუმი ეგვიპტისა და ლიბიის გაერთიანების საკითხზე არ მოეწყობა.

საკოორდინაციო კომიტეტის სხდომა

ბერლინი, 1 სექტემბერი, (საკდისი). გუშინ გაიმართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის მეორე ეტაპის საკოორდინაციო კომიტეტის მორიგი სხდომა. სხდომაზე მიიღწიეს თანხმობას და მიიღეს გადაწყვეტილებანი მთელ რიგ განხილულ საკითხებზე.

კომიტეტი განაგრძობს მუშაობას.

პროვოკაციული პოზიცია

ლონდონი, 31 აგვისტო. (საკდისი). სამოქალაქო ომიანობის ორგანიზაციის ეროვნულ-ორგანიზაციის ეროვნულ-ორგანიზაციის ეროვნულ-

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ღვრთა ღერილი

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერი მედიკები, შეურაცხყოფილი ვართ აკადემიკოს ა. დ. სახაროვის საქციელით, რომელიც ირღვევს საბჭოთა მეცნიერის სახელსა და ღირსებას, და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემის მეცნიერებთან ერთად გადაჭრით ვგმობთ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ მის საქმიანობას.

ჩვენს აღშფოთებას იწვევს აკადემიკოს ა. დ. სახაროვის უპასუხისმგებლო განცხადებანი ჟურნალ კორესპონდენტებისადმი, მისი ცილისწამება ჩვენს ხალხზე, საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

ა. დ. სახაროვმა გაიელშჭრა სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის კურსის წინააღმდეგ. მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის განვითარებისათვის ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხაზის წინააღმდეგ, პრეტენზია გამოაცხადა ერთგვარი „ჰუმანისტისა“ და „მოქალაქეობრივ თავისუფლებათა დამცველის“ როლზე იმიერ, რომ ლანძღავს ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც აშენდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე და შექმნა ყველაზე ხელსაყრელი პირობები ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების განვითარებისათვის, იგი არსებითად გადაიქცა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მტრული პროპაგანდის იარაღად.

ა. დ. სახაროვმა, რომელიც უხეშად ამახინჯებს ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, მხარი აუბა ყველაზე აგრესიულ იმპერიალისტურ ძალებს, რომლებსაც სურთ გაიჩაღონ მსოფლიო ომი და ახალი უბედურება მოუტანონ კაცობრიობას.

ჩვენ, ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენლებმა, ჩვენი ცხოვრება და მოღვაწეობა მივუძღვენით ხალხის ჯანმრთელობისათვის ბრძოლას. ჩვენ მკრეხელობად მიგვაჩნია მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი გამოსვლა. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საკუთარ და მთლიანად ვიწონებთ და მხარს უჭერთ საბჭოთა კავშირის საგარეოპოლიტიკურ კურსს მშვიდობის პროგრამის შესრულებისათვის.

ჩვენ ვამაყობთ საბჭოთა კავშირის წარმატებებით სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. XXIV კონგრესის მიერ დასახული ჩვენი სახელმწიფოს განვითარების გეგმების შესრულება საკვირო ბაზის ქმნის საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის და ემსახურება მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

ამის გაგება არ სურს აკადემიკოს ა. დ. სახაროვს, რომელმაც დაკარგა კონტაქტი თავის ხალხთან. მისი საქმიანობა სრულიად უცხოა ყველა საბჭოთა მეცნიერისათვის.

ხსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ა. ჰ. ავციონი, ა. დ. ადო, ა. ი. არუთინოვი, ო. ვ. ბარონიანი, ა. თ. ბილიბინი, ნ. ნ. ბლოხინი, ლ. კ. ბოგუში, ჰ. ა. ვერშუილოვა, ა. ა. ვიშნევსკაია, მ. ვ. ვოლკოვი, ზ. ვ. ერმოლიევა, გ. ა. ზედგენიძე, ი. მ. ლოკუხინი, კ. ე. ლუკომსკი, ხ. რ. მარდაშევი, ა. ა. მინხი, ა. ი. ნასტერეროვი, ხ. ე. სევერინი, ე. ი. სმირნოვი, ვ. დ. სოლოვიოვი, ვ. ი. სტრუჩკოვი, ე. მ. ტარეევი, ე. ი. ჩაზოვი, ლ. მ. შაბადი, ე. ვ. შიდბი.

ნიკოლოზ ჩაჩავა

მ ი წ ი ს სიყვარული

საშბარი ქართველ კოლმეურნესთან

მიწა გეძახის,
მიწა გიხმობს,
გიწევდა მიწა,
მიწა შენი
საყვარელი
დედა და ბიძა —
და ისე როგორც
შენს გამზრდელებს
ეალერსები,
მიწას მიეცი
შენი გულის
ყველა ფესვები.
და მაშინ ნახავ
რა გულუხვად
გაგიღებს კარებს,
მოგიალერსებს,
გაგიღიმებს
და გაგახარებს.

საოცარია
რომ მიწაზე
ერთს მოსდის ხვავი,
მეორის ხელში
უსულოა
და საცოდავი.
მიწასაც უნდა
თურმე დიდი
კაცური სითბო,
იგი კაცივით
სუნთქავს, ცოცხლობს
და ზრუნვას ითხოვს.

უნდა გახსოვდეს,
რომ შენ შენთვის
არ შრომობ მარტო,
ქვეყანა ჩვენი,
ჩვენი ხალხი
შენს ნაშრომს ელის —
და რადგან ხალხმა,
შენმა ხალხმა,
ეს მიწა განდო,
აღარ მოაკლო
შენი შრომა
და გამრჯე ხელი.

კალე ბობოხიძე

ასპარეზი სუნთქვა ჩვენი ეპეულის

რა ვთქვა ისეთი, რომ შენ გედაროს,
შენს სიდიადეს სიტყვით ვერ ვწვდები!
შენს ნათელ აწმყოს მუდამ ედაროს,
ზვრებმაც იყარონ ლორთქო ლერწები!

მოდის ლაშქარი შრომის გმირების,
მხარეს ხატავენ სხივთა ქსელები,
ჩანს, ასრულდება დანაპირები,
ცას გინათებენ ცისარტყელები!

ახალგაზრდობა დაუცხრომელი
მოდის, მომავლის სუნთქვა ახალი,
მოდის ხუთწლედის რაზმის მშრომელი
შენი სიცოცხლე, მტრისთვის ლახვარი!

რით გადიადო, მხარეს მშობელო,
რა ვთქვა ისეთი, არვის არ ეთქვას?
სიცოცხლის წყაროვ დაუშრობელო,
ჩვენო იმედო და გულის ფეთქვავ!

მიდამოები მსურს გიბრწყინავდეს,
და მაღლდებოდე, როგორც აროდეს,
შეჯიბრებაში ხარ მოწინავე,
მსურს შენი წინსვლით მუდამ ვხარობდე!

შენ ნაბიჯები ამირანს გიგავს,
ტყეების შრიალს შვებით გასცქერი
და გაანალების ფრთამედგარ გრიგალს
მოაქვს სიწმინდე მთების ჩანჩქერის!

ილია ხოშტარია

წმიდა ოფლი

მე მიხაროდა როს ვხედავდი
მინდვრებს გადახნულს,
რა ალტაცებით თითქოს ხელით
ზეცას ვწვდებოდი,
ასეთ გაზაფხულს სანეტარეს
ასეთ გაზაფხულს,
აღარ მეგონა თუ ოდესმე
მოვესწრებოდი!
სიმართლე, რწმენა, თავდადება,
პატიოსნება,
უკან არ იხევს, წინ მიიწევს,
როგორც მძლე გმირი,
ვადიდოთ იგი საქართველოს
ყველა მგოსნებმა
რაც ქვეყანაზე წმიდა ოფლით
არის შექმნილი!

□ □

ნუკრის თვალი

სადღაც ოფლმა დაიკუნა,
მივგარდი და რას ვუშველი,
ღმერთგამწყრალმა მონადირემ
ტყის მშვენება მოჰკლა შველი.

ხალებიან მკერდზე აწნდა,
სისხლიანი დილის ცვარი,
ნუკვა მაშინ არ მენახა
ცრემლიანი ნუკრის თვალი.

გამოიქცა ჩემსკენ უმალ
და მომაყრდნო ფრთხილად
თავი,
ნორჩ ხრეულით ფოთოლივით
ცახცახებდა საცოდავი.

შეეოიხედა, შემაერჯოლა,
შემზარავად დაიგმინა,
სიბოროტეე, კაცის გულში
ო, როდემდის გქონდეს ბინა.

რ ა მ ა ც დ ა ე ბ ა ...

რა ლამაზი ხარ, ჩემო სოფელო...

იქნებ მე მეჩვენება ასეთი, როცა ხოფლის ბოლოს ახლოვანი ბილქვების რიგში შევდგები და თვალს შეგავლებ. მინდა შენი ოდასახლების ერთ-ერთ ადგილს ეს ... ყველას გასაგონად შევძახო: გამარჯობათ, გამარჯობათ მეზობლებ!

რას არ გადარეულ გულში... მაგრამ შენ ისეთი დიდებული ხარ, როდი ეჯიერდება მონგონლ ფერთა მოშველიებათ შელამაზება!...

„დიდებული ხარ-თქო“ — ვთქვი და გულში გამკრა, რომ [illegible] ტბამ მდუმარებას უფრო მიგვაჩვია და შიგადაშიგ იმიტომ გვეშლება: როდის „თქმა სჯობს“...

მაგ, გულახდილად ვისაუბროთ, ჩემო სოფელო, ამ გულახდილობაში ზოგ საუბარ სიტყვას ნუ მიწყენ, რადგან შენ იცი: სიყვარულმა მათქმევინა!...

ასალი ყოველთვის ტკივილით იბადება, ძველი დიდ სიყვარულს როდი უცხადებს ახალს, მის წინაშე თანდათან თმობს პოზიციებს, უკან იხევს, მაგრამ ბრძოლით ჯიუტობს, რადგან თავი ყოველთვის მართალი ეგონია.... რაკი ახალი ძველისაგან იბადება და იზრდება, ძველს მუდამ თან ახლავს სიძლიერე — ცოდნა და გამოცდილება და კიდევ ადამიანის გონების ერთი თავი-სებურებაც ამაგრებს მას — წარსულში ქვერეტის სიყვარული.

ამიტომ ახლავს ძველს ინტიმი, უნახავის შარავანდედი... ძველსა და ძველებს!..

ამ შარავანდედით არიან მოსილი ჩემს თვალში ჩემი სოფლის გამოჩენილი თაკკაცები. მათ მხრებზე ხომ მთელი ცხოვრების ავმა და კარგმა, სიხარულმა და მწუხარებამ გადაიარა... მათ შუბლზე ძველისა და ახლის რევოლუციური ბრძოლის ჭარიშხალმა წარუხოცელი კვალი დატოვა. იმიტომ კი არა, რომ ისინი ახლის წინააღმდეგი იყვნენ და ძველი უყვარდათ. უფრო იმიტომ, რომ ანგრევდნენ ძველს და გონების თვალით შეჰყურებდნენ მომავალს.

ადამიანის ძლიერმა მარჯვენამ მიწაზე მიჯნები ადვილად მოშალა. მაგრამ ჯლეხის გონებაში კერძო მიჯნის მოშლა ამ ძლიერ მარჯვენასაც ასე იოლად როდი ემორჩილებოდა.

და მაშინ გამოიტანეს დროშა ხაზოგადოსი ჩემი სოფლის თავკაცებმა.. პირველი კოლექტივი შეკრეს!

უთავრესი საქმე გაკეთდა და კერძო ინსტინქტების ფაქტი ნაკადი ცხოვრების მდინარების ბობოქარ ტალღებში მოაინთქა. ასეა: დიდს, ხაზოგადოებრივს ეფიერებიან კერძო ინსტინქტები. ბევრი მათგანი იღუმება ამ „სამალავში“, ზოგიერთი კი ახლებური სიცოცხლის უნარს შეიძენს, ჯიუტად ეძიებს წინა პლანზე გამოსავალს...

ასე აშენებდა ხაზოგადო საქმეს და ასე თმობდა ვიწრო-პირადულს ჩემი სოფლის გლეხობა.

შენ კარგად გახსოვს, ჩემო სოფელო, რომ მათ მიერ დაწყებულ ყოველ საქმეს ენთუზიაზმის ფრთები ესხა... ენთუზიაზმით დაანგრიეს ნაბატონარი სასახლე, ენთუზიაზმით აშენეს სკოლა, აგებდნენ ხიდებსა და გზებს, ჩვეულებრივი მამა-პაპური საშუალებებით: ბარით, ნაჯახით და ურმით, ისე, რომ არცერთ მათგანს არ უსწენებია თვითმცდელი, ბულდოზერი და ექსკავატორი.

ბევრს ეგონა, რომ ხელმძღვანელის ავტორიტეტს მაგიდაზე მუშტის დაკვრა და დიდი პლაკატებიანი კაბინეტი ქმნის, ხოლო ვინც დროზე მიხვდა, რომ ხელმძღვანელობას აზროვნება და აზროვნებას ოთახი კი არა, თავი სჭირდება, საქმეც უკეთესად წაიყვანა. ამის ნიმუშად მრავალი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გამოდგება, რომელთა მეთაურებმაც ჯერ იფიქრეს და მერე იმუშავეს და არა პირიქით!

კაცმა რომ თქვას, ჩვენ ყოველთვის დიდ პატივს ვცემთ ძველებს, ვამაყობთ კიდევ მათი ავტორიტეტით და, ალბათ, ყველაზე დიდი ჭიქით წინაპრების სადღეგრძელოს შვესვამთ, პერზე ღვინოსაც დავაწყვეთებთ, მაგრამ... სასაფლაოზე შესვლულ ნახირს თვალს ავარდებთ.

ამ ათეული წლების განმავლობაში ვერავინ მოიფიქრა კოლმეურნეობის გამგეობიდან, რომ ალბომში მაინც ჩაეწერათ მათი გვარები და სახელები, რომლებმაც მთელი სიცოცხლე პატიოსან საზოგადო შრომაში გაატარეს და ამით კოლმეურნეობას დიდი მატერიალური და მორალური სიმდიდრე შესძინეს.

იქნებ ეს გამომდგარიყო მაგალითად ახალგაზრდობისათვის, რომ გვეთქვა, აი, ჩვენ მარტო გაკიცხვა კი არ გვეყოფრება, დაფასებაც ვიცითო. ეს მეტ ავტორიტეტს შეუქმნიდა ის საერთო საქმესაც, რომელსაც ჩვენ ვემსახურებითო?!

ობიერს ბგონია ჩაქუჩით უნდა მიადგე და ანგრიო ძველი, რომ ახალი აამენო. ქაკვდა ჩვენს სოფელს ასეთი თავმჯდომარეც.

ამ ჭკუის კოლოფმა თავისი მოღვაწეობა იმით დაიწყო, რომ დაანგრია ერთი ბატარა, მაგრამ საინტერესო ისტორიული ძველი, და მისი ძველქართულით მოხატული ქვები მაღაზიის ასაშენებლად გამოიყენა.

არა ერთ და ორ ჯელის გადაუწვია სინანულით თავი კედელში უკუღმა ჩატანებული ამ ქვის დანახვაზე. თავმჯდომარეს კი უკვირდა — რა ენანებოდათ? განა მათი აშენებული იყო ეს ძველისმეული ძეგლი! უკვირდა და ვერც ინას მიმხვდარიყო, ავამენე და მარნე მე რატომ მლანძღავენო.

ზოგს დაავიწყდა, ჩემო სოფელო, რომ საქმის გაძღოლაში მთავარია ავტორიტეტი, ავტორიტეტი, რომელიც ლამაზივით წინ რწმენას წაიმძღვარებს და ამით ნდობის თესლს უფრთხ დათესავს.

ზოგიერთი თავმჯდომარე მუდამ ბუზღუნებს: კოლმეურნეობის ფერია, მაგრამ შეუნებელია, სამუშაოდ გამოსვლა ეზარებათ... ისეთ კი აღარ კითხულობს, რომ მარტო „სამუშაოდ გასვლა“ როდია მთავარი. მთავარია მუშაკაცს იმის რწმენა ჰქონდეს, რომ მისი შრომა მიზნობრივი იქნება, ხოლო სარჩო-საბადებელს მასზე მეტს მიიღებს, რასაც მუშაობის დროს დახარჯავს.

მუშაობამ მუშაობისათვის დანგრევის პირას მიიყვანა ზოგიერთი კოლმეურნეობა. ამან წარმოშვა ზარმაცებიც და განზე მაცქერალნიც. თორემ ერთ-ორ ნამდვილ ზარმაცს არასოდეს არ დაუყენებია ამინდი სიზარმაცისა.

მუშაობა მუშაობისათვის უპოხიერებს ნიადაგს „მიფარებულ“, „მიმალულ“ ინსტინქტებს გამოსაცავლად. ასეთი მირები „შემგუებლურ“ ხასიათს იჩენენ: მუშაობენ კოლმეურნეობაში მოგალეობის მოხდის მიზნით.

სოფლის ზოგიერთი ხელმძღვანელი, როგორც ალეგხები იტყვიან, ვერ არჩევს „საწინააღმ“ და „სამერმისოს“. ასეთ კაცს არ შეუძლია მეურნეობის გაძღოლა და მისი ხელმძღვანელობის უნარიც დაუყენებლივ უნდა განისაჯოს. ეი სად არ შეიძლება მოქმედებდეს კანონი — ვაცადოთ გამოსწორდებაო, რადგან, ამ გაზაფხულზე ნთქვამი „ვაცადოთ“ შემოდგომაზე ცუდად აღმოცენდება.

აი, რატომ მოითხოვს სოფელს მეურნეობა სრულიად თავისებური, სხვაგვარ მიდგომას, ზორს გამიზნულ დაგვიშვას.

ერთი რამ მაკვირვებს, ჩემო სოფელო, შენი და პირდაპირ უნდა გითხრა: როგორ იმეტებ ასე ბრილიანაკს მათთვის, ვისაც შრომით გამოდენილი ოფლით მუბლი არ დასველებია?..

ეჰ, და სალანი და გამარჯობა თქვენ, ბეჩრდილიმ! ბრა, ნუ წამოდგებით, ხელიდან ჭადრაკის ფიგურები და დომინოს ქვები არ გაგაცვივდეთ!

როცა ამ სიტყვებს წაიკითხავს, ბევრი, ალბათ, გულში ჩაიცინებს. აბა, მისამართი შეეშალა, ეგენი ზარმაცები როდი არიან, უმაღლესში დაუსწრებლად სწავლობენ, ენაცვალოთ დედ-მამაო!

ნება თქვენია, პატივცემულო მშობლებო, მაგრამ ერთიც ვიკითხოთ, როცა მშობლებს უჭირს, შვილს რატომ ვაჩვევთ და რატომ ვაძლევთ უფლებას იღხენდეს და ნებივრობდეს, რატომ ვუქცევთ საკუთარ ჭირს „სხვათა“ ჭირად, რატომ ვაყენებთ „თავში ქვაც ულიასა“ და ეგოიზმის გზაზე?

ასე თანდათან იკუტება „კეთილისმფფფელი“ მშობელი „შრომის ნაჭუჭში“, შვილი კი მხოლოდ — „ნაყოფის მიღების ნაჭუჭში“, ამ ნაჭუჭიდან კი ნაცვლად მოქალაქისა, მხოლოდ „მომხმარებელი“ იჩეკება, „მომხმარებელი“ ამ ცნების სრული პრაქტიკული გაგებით!

ასეთი ახალგაზრდისათვის სოფელში აღარაფერია საინტერესო. ვის სახლში არა დგას ახლა ათასგვარი ინფორმაციით გატენილი ყუთი-ტელევიზორი, რომელიც ჩვეულებრივი აზრით „კულტურული გართობის“, უფრო სწორად, „დროის მოკვლის“ უნიკალური საშუალებაა? არც კინო-რესტორნები, პიანინოები და „კულტურული დონის“ მაჩვენებელი სხვა საშუალებებია სოფელში იშვიათი! მაგრამ მაინც სოფელში, თურმე, არაფერია საინტერესო. მოსაწყენია!

მოსაწყენია! დიახ, ყველგან მოსაწყენია მისთვის, ვინც თვითონ არ ქმნის ცხოვრებას. ასეთი ახალგაზრდა ალმაცერად და ნიჰილისტურად უყურებს სხვის ნამოქმედარს, რადგან იგი მისთვის არაფერი ფასობს, და, როგორ ფიქრობთ, ნუთუ კიდევ სხვა რამის დამატებაა საჭირდება „განსხვავებული ტენდენციის“ გაჩენას?

საით მიიწევს ამგვარი ტენდენციით ნასაზრდოები ახალგაზრდული გონების შექმნა, განა იგი „საერთო საქმის“, „საერთო კეთილდღეობის“, შრომის გზას გაანათებს? უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რაც ძლიერია ამგვარი გონება, მით მეტია ძალა მოწყენისა, და უმოქმედობისა, მით უფრო ზარალდება საზოგადოებრივი თვითშეგნება, მით უფრო ფუვდება შუამავნი ეგოიზმის სოკო.

ეჰ, ბერი, ჩვენი სოფლის მწარედ დასაფიქრებელი ერთი ამბავიც.

სოფელში დგას რკინის მესერშემოვლებული ვეებერთელა სახლი, ვითომ დიდი გემოვნებით ნაშენ-დამშვენებული. იქნებ, იცოდეთ, ვისია იგი?

აქ შეიძლება პასუხიც დამასწროთ: სახელმწიფო ქონებით დახლქვემ მოვაჭრის, სპეკულანტის, უფაქტურა ბენზინისა და სავთის გამყიდველის, არარსებული ხილეკენკრის ზღაპრულად მოჩუხჩუხე ფეხების „სპეციალისტის“, გაქნილი საქმოსნის. ცხოვრობს ეს ბალანი სოფელში და, ცხადია, სოფლის ღვიძლ შვილად ითვლება!

ეს „ღვიძლი შვილი“ იქამდეც მივიდა, რომ ახლა, სიმდიდრის გამო, დიდ განათლებასა და კულტურასაც იჩემებს, რადგან საკამოობით მისი სახლიდან პიანინოს რახარუხი გაისმის, ან დილაადრიან პირდაუბანელ ბავშვს სკოლაში შავი, ახალთახალი „ვოლგა“ მიაქანებს, ეს კი ცხადზე უცხადესია შენთვის, ჩემო სოფელო, და მწარე სიტყვას როდი გაგიგრძელებ. შენ სადარდებელად ისიც გეყოფა, რომ ცხოვრების რკინის ლოგიკის გამო, ახალგაზრდობა მაგალითით იზრდება.

გული გწყდება, განა, რომ ის ნორჩი ხე, რომელიც შენს ბაღში ხარობს, ზოგჯერ უნაყოფოსაკენ უფრო იხრება და მწვანე ფოთლებს მხლოდ პირადი კეთილმოწყობის ქარზე აშრიალებს?

გული გწყდება განა, რომ ნაცვლად ოთხისა ზოგ ბავშვს ლუდის კასრსა ან ფარფლის არშინი უჭირავს ხელში?!

გული გწყდება განა, რომ ბევრი მათგანი წიგნებით დატვირთულიც მიდის შენგან, მეცნიერების კიბეზეც შეაბიჯებს...

აო, აგრეთ! ხინანულით გაიელე გულში, ხინანულით, რადგანაც იცი: შენგან წავლენ და იშვიათად დაბრუნდებიან...

ესეც შენი პრობლემაა, ჩემო სოფელო და შენს ხელთ არის ამ პრობლემის გადაწყვეტაც, რადგან ახლა დადგა დრო თეორსა და შავს შორის საზღვარი დაგიოთ.

ბევრი გასაკიცხი სიტყვა ვთქვით, ჩემო სოფელო? გასაკიცხი და არა სალანძღავი — რას იზამ, ძლიერ სიყვარულს დიდი მოთხოვნაც თან ახლავს.

ცხადზე უცხადესია, უამრავ კარგსა და სანაქებოს განგვებ აკუარეთ გვერდი. კარგი ხომ ისეც ცნობილია, ცუდი კი, პირიქით, ყველას თვალწინ უნდა დაგაყენოთ, როდი უნდა დავფაროთ!

მაშ ასე!...

იქნებ ისიც გტკივა, ჩემო სოფელო, რომ ბონებრივი შრომის ზოგმა წარმომადგენელმა ყური აღარ კოსოვა შენი ცხოვრების მაჯისცემას და ზურგშექცევით დადგა შენგან? თუ შენ დაჰირდები, ორთაც თვალს მოგაპყრობს და ორივე ხელით ჩაგეკიდება, მაგრამ თუ შენ გჰირდება?!

კარგახანია მოდურ ხმარებაში შემოვიდა სამარცხვინო ტერმინი „სოფელთან კავშირგაწყვეტილი“. იგი ძალზე პირობითია და ყოველთვის როდი გამოხატავს ამას, რა შინაარსითაც ისმარება. კავშირგაწყვეტილად არ ითვლება კაცი, რომელიც სოფელში ცხოვრობს, ინვეგს რაც მოსახვეწია. სოფლისათვის კი რას აკეთებს? აბა თვითონ ნახეთ! ასეთი კაცი მეზობლებს ზოგჯერ ბატონყაცურად ფულით ხელს უმართავს და, ამის გამო, რაც მართალია მართალია, ყინჩად დადის.

კაცმა რომ თქვას, რას ამავებს?

არა! სწორედ ასეთი კაცია ზიანის მომტანი, მორალური ზიანისა...

ზოგჯერ კოლმეურნეობაში გადახედავენ გრძელ ხიხ. ივანეს რომ აქვს ნაკვეთი სოფელში, ხშირად თუ მიდის და მოდის ქალაქიდან? დაიარება, როგორ არა! ივანეკ უსოფლოდ ვერ ძლებს, მისი ჰაერით იკვებს ფილტვებს, მაგრამ მისი ცხოვრებით კი ვეღარ „ცხოვრობს“. „სოფელთანაზე“ ცხენის ბაზუებს და, როგორც კი სოფელს მისგან რაიმე დასჭირდება, თეორ ხელისგულებს მრავალმნიშვნელოვნად გადმობრუნებს — ის ხომ „ქალაქელია!“.

მაშ როგორ იტყვით, ასეთ კაცს სოფელთან არა აქვს კავშირი გაწყვეტილი? სოფელთან თუ თავის საკუთარ სახლთან, თავის საკუთრებასთან? სწორედ რომ უცნაური ლოგიკა.

პეტრეს ნაკვეთი აქვს სოფელში, მაგრამ უაღრესად დატვირთულია საზოგადოებრივი საქმეებით. ცხადია, სოფელშიც ხშირად ვერ მიდის, ეს კი უკვე აღმოჩენაა. აი „კავშირგაწყვეტილი“.

მაგრამ ვინ არის პეტრე? როგორც კი მოიცლის, თავს დასტრიალებს თავის სოფელს — სად გზის გაკეთებაა ითავებს, სად ანხის გაკრას, ოდი სოფლისათვის შრომისმოყვარეობისა და პატიოსნების მაგალითია.

უნდა ამოვუკვეთოთ თუ არა ასეთ კაცს ფეხი სოფლიდან?

ცხადია, არა!

„კავშირგაწყვეტილი“, სამწუხაროდ, ნიუანსებით ახასიათებს ზოგიერთი მარტო ჭკუისმიერი ინტელიგენტის დამოკიდებულებას სოფელთან...

არა ერთ და ორ ლიტერატორს აუდგამს ფეხი ჩვენს სოფელში, აკვნდანვე კალამი რომ შეაყვარებინა და წერა-კითხვის გაძლიერებული ცოდნით შეიარაღებულს მწერლობაში წადმა-ეკუღმა გაეჭეს სახნავ-საკვეთი. ამიტომ ავიღოთ და ერთი პატარა კენჭი მათი მისამართითაც გადავაგდოთ.

ნაწილობრივ მოსწყდა სოფელს ჩვენი მხატვრული ხატვა. მწერლობა მინიდამინე რიდი ჩაწვდა სწორად, მთელი სიღრმით მის ყოფაცხოვრებას. ცხადია, მხეგდელობაში გვაქვს ის უარყოფითი და მანკიერი, წამოდგომის საშუალებას რომ არ ძლევს ხუსტ კოლმეურნეობას.

იქნებ, ეს იმის ბრალია, რომ ზოგიერთი პროზაიკოსისათვის ტრადიციულად გაბატონებული ცრურეალისტური დიდებითისა და უარყოფითის „შეთანაწყობის“ პრინციპი შემოქმედების ძირითად კრედოდ არის გადაქცეული.

უკანასკნელ წლებში პოეზიაშიც მოიკიდა ფეხი სოფლის ეგზოტიკური ხერხათების ადამიანური ცხოვრებისაგან მოწყვეტილად ასახვის ტენდენციამ.

იქნებ ამ ჯურის ხალხიც კავშირგაწყვეტილად ჩავთვალოთ, ჩემო სოფელო, და მათ კრიტიკის ძალით შენს შესანიშნავ და ძლიერ სულში ხელისფათური აგვკრალოთ.

მოდით ნუ შევიტანთ „კავშირგაწყვეტილის“ ცნებაში მარტო ფიზიკური ურთიერთობის მინაარსს, რადგან ფიზიკური და გონებრივი შრომა უერთმანეთოდ წარმოუდგენელია. და ისიც პირდაპირ ვთქვათ, ჩემო სოფელო, რომ ფიზიკურ შრომაზე არანაკლებ ჭეშირდება შენ ახლა შენი ინტელიგენციის გონებრივი დახმარების ხელი.

ახლა, როცა შრომის მეცნიერულად დასაბუთებულმა ორგანიზაციამ თანდათან მოიკიდა ფეხი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, იქნებ შესაძლებელი იყოს, ჩამორჩენილ მეურნეობებში მაინც, საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნას ამ სოფლიდან წასული თუ იქვე მცხოვრები მოაზროვნე ინტელიგენციიდან, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საბჭო, რომელიც განიხილავდა საკოლმეურნეო განვითარების პრობლემურ საკითხებს.

იქნებ აქ მოხდებოდა ფიზიკურისა და გონებრივის, შრომისა და შედეგის, მიზნისა და შინაარსის ურთიერთკორდინაცია!

ბევრი რამ გაქვთ დასაფიქრებელი, ბევრი რამ, ჩემი სოფლის თავკაცებო, მაგრამ თქვენ უკვე საშარილიანად იტყვით, განა მარტო ჩვენი?!

ეენთან საუბარს ვერასოდეს მოგრჩები, ჩემო სოფელო, მაგრამ ამ საუბარში თავს დამათენდა კიდევ ბაჭა-იქ თვალი ჩამიკრეს ნათურებმა და სინათლის მოძალებამ გაუნათლნენ. ფუსფუსით ოცება ჩემი სოფლის კარები — დიდება შენს ძალას, ცხოვრებაო, სიცოცხლეო... დილა მშვიდობისა! დილა მშვიდობისა, საყვარელო მეზობლებო!

ბივი მარუაშვილი.

ახმაურდა უმაღლესი სასწავლებლები. პირველი ლექციების ხიხარული განცადის პირველკურსელებმა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელთა ეხ ერთი ჯგუფი გუშინ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სიმონ კილაძემ.

მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ა დ ა ტ ე ქ ნ ი კ ი ს ბ ა ბ ი ე რ ე ბ თ ა ნ

სკოლებში უკვე დაირეკა ტრადიციული ზარი და დაიწყო ახალი სასწავლო წელი!

რამდენი სიხარული, საზეიმო განწყობილება ეუფლება ჩვენს სოფლის და ბელს, როცა ეხედავთ საბჭოთა ახალგაზრდობის თაობებს — პირველკლასელებიდან მოყოლებული უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი კურსების სტუდენტთა ჩათვლით.

უკან მოვიხედეთ ცხელი აგვისტოს ცხარე დღეები, უმაღლესსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რთული პერიოდი, ისევ ვიწყებთ ბრძოლას თანამედროვე რთული მეცნიერებისა და ასევე რთული ტექნიკის დაუფლებისათვის.

საბჭოთა უმაღლესი სკოლა წარმატებით ასრულებს პარტიის XXIV კონგრესის ისტორიულ გადაწყვეტილებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების დარგში. სამშობლო ყოველწლიურად იღებს სპეციალისტების მთელ არმიას, რომელსაც არა მარტო ღრმა მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა აქვს, არამედ იდეურ-პოლიტიკური წრთობის სკოლაც გაუვლია, საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელი გრძნობით გამსჭვალულა და მზად არის კომუნიზმის მშენებლობის საქმეს პრაქტიკულად ემსახუროს.

მაგრამ ჩვენ გვინდა მიღწეულზე კი არ შევჩერდეთ, არამედ წინ ვიაროთ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. უმაღლესი სკოლა მხოლოდ მაშინ შესძლებს დაკისრებული მისიის შესრულებას, თუ ლექტორთა მაღალკვალიფიციური კადრისა და საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში ეყოლება ნიჭიერი, შრომისმოყვარე, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლების წყურვილით გატაცებული სტუდენტი ახალგაზრდობა. ამიტომ ექცევა ასე დიდი ყურადღება აბიტურიენტთაგან ყველაზე უკეთესის შერჩევას. პირველი კურსი თავისებურად განაპირობებს მომდევნო კურსების წარმატებას.

როგორც წარსულში, ისე წელსაც ჩვენ დიდი კონკურსი გვქონდა. ბედნიერებაა, როცა ასეთი რაოდენობით გვყავს უმაღლეს განათლებას მოწყურებული ახალგაზრდობა. მაგრამ ამ ბედნიერებას დიდი სიძნელეებიც თან ახლავს. რამდენადაც მეტია შესარჩევი, იმდენად რთულია თვით შერჩევა. წელს მისაღები კონტინგენტი შეადგენდა: სტაციონარზე — 8.175, საღამოს განყოფილებაზე — 2590, დაუსწრებელ სწავლებაზე — 2635, სულ 13.400 კაცს. ამ ვაკანტურ ადგილებზე აბარებდა 47.801 აბიტურიენტი, მაშასადამე, ერთი ადგილისათვის იბრძოდა დაახლოებით 4 კაცი. თუ კონკურსს საშუალოდ ასე გამოიყურება, სამაგიეროდ, ზოგიერთ სპეციალობაზე პირდაპირ კატასტროფული მდგომარეობა იყო. უნივერსიტეტში ისტორიულის ერთ ადგილზე აბარებდა 29 ახალგაზრდა, ქართულ ფილოლოგიურზე — 15, გერმანულზე — 12, ხოლო პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის 14 ვაკანტურ ადგილზე — 600 (!!!).

გამოცდების შედეგებმა გვიჩვენა, რომ მარტო ღრმა განყოფილებაზე 36.181 კაციდან არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო 25.447 აბიტურიენტმა. პირველ კურსზე ჩაირიცხა 8.400, ხუთი პროცენტის დამატებით. მოსამზადებელი განყოფილების 1073 მსმენელი სტუდენტი გახდა. ჩარიცხულთა შორის არიან: მუშა, მუშის შვილი — 30,2 პროცენტი, კოლმეურნე, კოლმეურნის შვილი — 20,5 პროცენტი, მოსამსახურე, მოსამსახურის შვილი — 49,3 პროცენტი, სოციალური შემადგენლობის მხრივ ასეთი კარგი სურათი პირველად მივიღეთ.

წელს მისაღები გამოცდებიც მაქსიმალური ობიექტურობით ჩატარდა. დიდი მუშაობა გასწიეს უმაღლესი სკოლების რექტორატებმა, მიმღებმა და საგამოცდო კომისიებმა. არც ერთ წელს ისე მაღალ დონეზე, ისე ორგანიზებულად, წესებს ისე ზუსტი დაცვით. არ ჩატარებულა გამოცდები, როგორც ამჟამად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა და თბილისის კომიტეტებმა, ადგილებრივმა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ჩვენ აღმოგიჩინეს უაღრესად პრინციპული, ნამდვილად ქმედითი, ყოველმხრივი პოზიტიური დახმარება. არსად სიტყვა საქმეს არ დაშორებია, ხოლო ნიადაგი გამოცლილი აღმოჩნდათ იმ ეჭვის ადამიანებს, რომლებიც მოსახლეობაში „გამოძალვას“ ეწეოდნენ, ჩირქს სცხებდნენ უმაღლეს სკოლას, მის წმინდა სახელს.

ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ უმაღლესში მიღება ხდება კონკურსით, გამოცდები საკონკურსოა და არსებითად

პირველი გაკვეთილი (თბილისი, 61-ე სკოლა). ხ. კილაძის ფოტო.

თბილისის ეკრანებიდან

ვოლკ ლენსკი წყალწყალეულ

მარკ ტვენის რომანი „ბეკლბერი ფინის თავგადასავალი“ დაიდო საფუძვლად კინოსტუდია „მოსფილმის“ ახალ ფერად ფართოეკრანიან ფილმს „მოლად წყალწყალეულს“.

— რომანის ეკრანიზება ჯერ კიდევ ათი წლის წინ გადავწყვიტე, — ამბობს ფილმის დადგმელი-რეჟისორი გიორგი დანელია, — სცენარზე მუშაობას ვიქტორია ტოკარევასთან ერთად წელიწადნახევარს მოვუნდით. სცენარში მივდევდით რომანის ერთ საუკეთესო ხაზს — ბეკის და ზანგი ჯიმის მეგობრობის ამბავს. ორი ფაქიზი სულის ადამიანი — ბავშვი და ზანგი — მუხანჯარი იმ ქვეყანაში, სადაც ძალადობა და სისასტიკეა გამეფებული...

ბეკის როლს ასრულებს ათი წლის მოსკოველი მოსწავლე რომან მადიანოვი. ფილმში მონაწილეობენ სახელოთა კინოს ცნობილი მსახიობები ე. ლეონოვი, ჯ. კიკაბიძე, ი. სკობცევა, ჯ. ბასოვი, ე. ვერულაშვილი და სხვები.

□ □

რობინზონ კრუზო

დანიელ დეფოს რომანი „რობინზონ კრუზო“ აგერ უკვე 250 წელია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნია მსოფლიოს ბავშვთა შორის. ამტომაც ბევრს უდავოდ გაახარებს, რომ ფერადი მხატვრული ფილმი „რობინზონ კრუზოს ცხოვრება და საოცარი თავგადასავალი“ ამ რომანის ეკრანიზაციას წარმოადგენს. ფილმის დამდგმელ-რეჟისორს სტანისლავ გოვორუხინს მაუურებელი იცნობს ფილმებით „ვერტიკალი“, „ანგელოსის დღე“, „თეთრი აფეთქება“. რობინზონ კრუზოს განსახიერებს პოპულარული კინომსახიობი ლეონიდ კურავლიოვი, პარასკევას — ირაკლი ხიზანიშვილი.

ოდესის კინოსტუდიის ნაწარმოები.

... ...

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ხუთი მატჩი გაიმართა გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. აი მათი შედეგები:

„პარპატი“ — „კაირატი“ — 4:0.
„დინამო“ — სკა — 2:0.
„ზენიტი“ — „ტორპედო“ — 3:1.
„დინამო“ მნ. — „ზარია“ — 1:2.
„კარპატი“ — „შახტიორი“ — 0:1.

... ...

იუგოსლავიის დედაქალაქში ხუთი-ოთხ ვითარებაში გაიხსნა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ცურვაში, წყალბურთსა და წყალში ხტომაში. 50 ქვეყნის ათასამდე სპორტსმენი იღებს მონაწილეობას ამ გრანდიოზულ „წყლის პრემიერაში“. მონაწილეთა შორის ბევრია ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენი, კონტინენტების საუკეთესო სპორტსმენი.

... ...

საჩხერეში საექსპლოატაციოდ გადაეცა ასფალტის ქარხანა, რომლის წარმადობა დღე-ღამეში 50-60 ტონნაა.

ქარხნის პროდუქციით ისარგებლებენ როგორც ქალაქის, ისე რაიონის სოფლების ორგანიზაციები, მოსახლეობა.

ა. ანანიაშვილი.

ჩხოროწყუ საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის საბჭოს თანამშრომლებმა საინტერესო ექსკურსია მოაწყეს მარშრუტით: მახარაძე-ციხისძირი-ბათუმი.

ეს მკითხველმა მოგვწერა

ფოთი-ჩხოროწყუ. ექსკურსანტებმა დათვალიერეს შავი ზღვისპირეთის ღირსშესანიშნაობანი.

ბ. აფხაზავა.

ცხაკაია. სამამულო ომში — წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორი ორდენები; შრომის ფრონტზე — შრომის წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენები, — ასე აღინიშნა მთავრობამ კირილე ბალათორიას დამსახურება სამშობლოს წინაშე. ახლახან კ. ბალათორიას შეხვედრა მოუწყო რაიონის ახალგაზრდების ჯგუფმა. სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი ახალგაზრდებს ესაუბრა ახალი ხუთწლედის ამოცანებზე, თავის ახალგაზრდობაზე, ბრძოლისა და შრომის გზებზე.

ა. ეჯიბია.

ავტოგრაფებიანი ბეჭის ძვალი

ეპიზოდი ტყის ცხოვრებიდან

ზღვისპირა ქედი თითქმის ზუსტად მერიდიანზე გაეშიფულა ბაიკალის დასავლეთი ნაპირის გაყოლებით. მის ფერდობებზე იზრდება ფიქვი და ლარიქსი, მწვერვალები დაფარულია რუხი კედარით. ტყის მდელოებს, რომლებზეც მცენარეულობა არ არის, ადგილობრივი მცხოვრებლები მარიანებს უწოდებენ. ასევე მდელოებზე ბალახები იზიდავს ირიუბრებს, დათვებს და ტყის სხვა მცხოვრებლებს. რომ დაბინდდება, ნადირები მარიანებზე გამოდიან, დილაობით კი, მზე რომ ამოვა, ტყეში იმალებიან.

...ჩვენ ვდგავართ ერთ-ერთ მწვერვალის თხემზე და წინ მდებარე ფერდობებს გითვალიერებთ. ნაცრისფერ-ყვითელი ლაქა ნელა მოძრაობს თხელ ვერხვნარში მარიანას კიდეზე. ფერბინდით კარგად ჩანს, რომ ეს დიდი პანტებიანი ხარ-ირიუბრიაა. იგი დიდხანს დადიოდა ტყის განაპირას და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყურადღებით დათვალიერა გარემო სივრცე, გაბედულად გამოვიდა მდელოზე. მას ტყის მოლურჯო სიღრმიდან გამოაყვა კიდევ ორი ირიუბრი. ისინი ნაკლებ შესაჩნევნი იყვნენ, რქები უფრო მოკლე და წვრილი ჰქონდათ.

ხელში ქრონომეტრი გვიჭირავს და დაბნელებამდე ვაკვირდებით ცხოველებს. დღეურში ვინიშნავთ დროს, რაც მათ მოანდომეს გარემო სივრცის დათვალიერებას, ადგილიდან ადგილზე გადასვლასა და კვებას.

ფერდობის ერმა განარღვევში, ირიუბრებზე ორასიოდე მეტრით ქვემოთ დადის უზარმაზარი მოთეთრო დათვი და ბაღასს წიწკნის. იგი ისე ბაგრად ადგამდა ფეხებს ქვებს, რომ მათი ხრიალი მთელ განარღვევში გაისმოდა. ირიუბრებმა, ჩანს, ძალიან კარგად იცოდნენ ვინ დადიოდა ფერდობზე და სმენით არკვევდნენ დათვის ადგილიდან ადგილზე გადასვლას.

მაგრამ აი დათვი გაჩერდა. ხეიუმე ჩამოვარდა. ირიუბრები ამ სიჩუმეს შეაშფოთა. დიდმა ხარ-ირიუბრმა ფლატეს კიდესთან მიირბინა და ქვევით ჩახედვა დაიწყო, არკვევდა, სად წავიდა ხმაურის წყარო. მალე დათვმა კვლავ აახრიალა ქვები, ირიუბრი დამშვიდდა და მდელოზე დაბრუნდა...

მე გიამბეთ მხოლოდ ეპიზოდი მონადირეობის მცოდნეთა, ირკუტსკის მონადირეობის მეურნეობისა და მენადირეობის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა მუშაობიდან. ჩვენ ვაწარმოებთ გარეული ცხოველებისა ხასამურის, ციყვის, ონდატრის, ლოსის, ირიუბრის, გარეთხისა და ბაბარის რაოდენობის განუწყვეტლივ აღრიცხვას. მათი რიცხვი სულ მუდამ იცვლება, და ნადირობის მორიგი სეზონისათვის დამაშზადებლებს ამომწურავი ცნობები უნდა ჰქონდეთ ტაიგის მოსახლეობაზე.

ეკოლოგიური თავისებურება — კონცენტრაცია ტყის მდელოებთან, რაც ზემოთ არის აწერილი, შესაძლებლობას იძლევა შევაფასოთ ირიუბრების რიცხვი. ბაიკალის დასავლეთი სანაპიროს გამოკვლეულ 2000 ჰექტარ ფართობზე ჩვენ დავითვალეთ 84 ირიუბრი და 16 დათვი. აღმოსავლეთ ციმბირისათვის ეს ძალიან დიდი სიმჭიდროვეა.

ოცი წლის განმავლობაში ვაგროვებდით ცნობებს აღმოსავლეთ ციმბირის სხვადასხვა სადარაგულებში მგლისა და ფოცხვრის გავრცელების რიცხვისა და კვების შესახებ. შემდეგ 1963 წლიდან დავიწყეთ იმის გამორკვევა, თუ რა გავლენას ახდენენ ეს მტაცებლები გარეთხის, ირიუბრის, ლოსის, გარეული ღორის და ირმის რაოდენობაზე. ზამთრობით ყოველგვარ ამინდში განუწყვეტლივ ვადევნებდით თვალყურს მგლებსა და ფოცხვრებს. გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ მტაცებელთა განადგურება საჭიროა მხოლოდ სამონადირეო მეურნეობათა რაიონებში. ტაიგის დანარჩენ სივრცეებში ისინი ადამიანის თანაშემწენი არიან: ჩვენულებრივად სპობენ ავადმყოფ, დასუსტებულ ცხოველებს, რითაც აუმჯობესებენ ჯოგების საერთო მდგომარეობას.

მაღლა ბაიკალის მთების განტოტებებზე მდებარეობს ჩვენი ციყვის სტაციონარი. უკანასკნელი რვა წელიწადია აქ ვაწყობთ ციყვის შემორგოლვას. ქვეყანაში სხვა აღარავინ ეწევა ამ ნადირის მიჩრდილის ასეთ გამოკვლევას. ყოველდღე მონადირეობის მცოდნენი დილით და საღამოს სინჯავენ ათიოლომეტრიან წრიულ მარშრუტზე განლაგებულ 200 მახეს. მახეში გაბმულ ციყვებს იარლიყიან რგოლებს უკეთებენ და უშვებენ. ზოგიერთ დღეს ყველა მახე ცარიელია. მაგრამ მეცნიერებისათვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყოველი შედეგი. აი, მაგალითად, გაზაფხულზე ციყვები ბევრი იყო, ახლა კი არ არიან. სად გაქრნენ? რამდენი იქნება, როცა ნადირობა დაიწყება?

გამოკვლევამ ცხადყო, რომ ციყვს არ შეუძლია დაუსრულებლად მრავლდებოდეს: ყოველ 4-5 წელიწადში დგება დეპრესია. გადამრბენსასლეობის პრობლემის რეგულირებას ციყვი თვითონ ახდენს — ყიდება, წყანარად, მშვიდობიანად. ხდება უცნაური მასობრივი თვითმკვლელობა, თითქოს წინასწარ შეთანხმებით. როგორ აღწევენ ასეთ შეთანხმებას? სულ უახლოეს ხანში პასუხს გავიგებთ ამ კითხვაზეც.

ს. უსტინოვი,
სამონადირეო მეურნეობისა და მონადირეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აღმოსავლეთ ციმბირის განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

... ...

ეს ... ...